დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, ფუნქციებს, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2
1. დეპარტამენტი სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომელიც ასრულებს სამსახურისა და ამ დებულებით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და ფუნქციებს. დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამსახურს.
2. დეპარტამენტს შესაძლებელია ჰქონდეს ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დეპარტამენტის სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე, შტამპები სამმართველოს სახელწოდებით.

მუხლი 3
დეპარტამენტი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 4
დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II
დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 5
დეპარტამენტის ამოცანებია:
ა) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის მუდმივი მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;
ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისას სამოქლაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება, ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისას კოორდინაციაში მონაწილეობა;
გ) არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის ორგანიზება;
დ) მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობა, საგანგებო სიტუაციის დროს მოხალისეთა კოორდინაცია;
ე) სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების განხორციელებაში მხარდაჭერა.

მუხლი 6

დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციის დროს ხანძრის ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოების ჩატარება, კომპეტენციის ფარგლებში ქიმიური, ბირთვული, რადიაციული და ბიოლოგიური საფრთხეების შემცველ ინციდენტებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელება;

ბ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა;

გ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ღონისძიებებში დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ჩაბმა;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოებში ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალების, მათ შორის, უწყებრივი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ჩაბმის გეგმის შემუშავება და მათი ჩაბმა;

ე) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების ნებაყოფლობით ჩაბმა;

ვ) სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან თანამშრომლობით შესაბამისი უნარების მქონე ვეტერანების აღრიცხვა და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით რეაგირების ღონისძიებებში ჩართვა;

ზ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა ორგანიზება, მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებულ მოხალისეთა მომზადებისა და გადამზადების მიზნით პროგრამების განხორციელება და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებაში ჩაბმული მოხალისეების მართვა;

თ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოხდის ორგანიზება;

ი) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის და ამ ღონისძიებებში ჩაბმული სხვა ძალების/პირების მართვა;

კ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ორგანიზების მიზნით წინადადებების შემუშავება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმითა და ეროვნული თავდაცვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

მ)ბირთვულ, რადიაციულ, ბიოლოგიურ და ქიმიურ ინციდენტებზე რეაგირების მიზნით, ვითარება თა შეფასება , შესაბამისი რეაგირების ძალების კოორდინირება;

ნ) სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მარშრუტების შეთანხმებასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზება;

ო) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებული დასკვნის მომზადება;

პ) სავალდებულო ოპერაციების შესრულებისათვის წინადადებებისა და ღონისძიებების შემუშავება;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, თავშესაფრების და თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობების აღრიცხვა;

რ) კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციად გარდაქმნის საფრთხის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად, საგანგებო სიტუაციების ზონაში შესაბამისი შტაბის ან/და სამსახურის ხელმძღვანელობისათვის წინადადებების და რეკომენდაციების დროულად მომზადება;

ს) ხანძრებისა და საავარიო-სამაშველო/სამაშველო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის უწყვეტი შეკრება;

ტ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევაში მონაწილეობა სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან თანამშრომლობით;

უ) ტერიტორიული დანაყოფებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების კონტროლი და მათთვის მეთოდური დახმარების გაწევა;
ფ) საუწყებო და კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისთვის მეთოდური დახმარების გაწევა;
ქ) ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის ინფორმირება და მომზადების ორგანიზება;
ღ) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

თავი III
დეპარტამენტის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულები და მათი ფუნქციები

მუხლი 7
1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ადმინისტრირების მთავარი სამმართველო, რომელშიც შედის შემდეგი დანაყოფები:
ა.ა) ცენტრალური კოორდინაციის სამმართველო;
ა.ბ) ოპერატიული მართვის სამმართველო;
ა.გ) მოხალისეთა მართვისა და არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის ორგანიზების სამმართველო;
ბ) განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველო, რომელშიც შედის შემდეგი დანაყოფები:
ბ.ა) სწრაფი რეაგირების სამმართველო;
ბ.ბ) ქიმიურ, ბიოლოგიურ და რადიაციულ ინციდენტებზე რეაგირების სამმართველო;
ბ.გ) წყალზე სამაშველო სამმართველო;
ბ.დ) მცხეთა-მთიანეთის სპეციალიზებული სამაშველო განყოფილება;
ბ.ე) სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალიზებული სამაშველო განყოფილება.
2. დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფებია:
ა) თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
ბ) აჭარის ა/რ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
გ) იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
დ) სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
ე) გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
ვ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
ზ) ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
თ) შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
ი) კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
კ) სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო;
ლ) მცხეთა-მთიანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო.

მუხლი 8
ადმინისტრირების მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:
ა) ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოებში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალების, მათ შორის, უწყებრივი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ჩაბმის გეგმის შემუშავება და მათი ჩაბმა;
ბ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების ნებაყოფლობით ჩაბმა;

გ) სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან თანამშრომლობით შესაბამისი უნარების მქონე ვეტერანების აღრიცხვა და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით რეაგირების ღონისძიებებში ჩართვა;

დ) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის და ამ ღონისძიებებში ჩაბმული სხვა ძალების/პირების მართვა;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ვ) სავალდებულო ოპერაციების შესრულებისათვის წინადადებებისა და ღონისძიებების შემუშავება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციად გარდაქმნის საფრთხის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად, საგანგებო სიტუაციების ზონაში შესაბამისი შტაბის ან/და სამსახურის ხელმძღვანელობისათვის წინადადებების და რეკომენდაციების დროულად მომზადება;

თ) საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების ღონისძიებებში დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ჩაბმა;

ი) ხანძრებისა და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის უწყვეტი შეკრება;

კ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას დეპარტამენტის დანაყოფების დავალებაზე გასვლის, მათი მუშაობის და ადგილზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა;

ლ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა ორგანიზება, მათ შორის პირის მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებისა და მოხალისეთა ეროვნული სიიდან ამორიცხვის ორგანიზება;

მ) მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებული მოხალისეების მომზადება/გადამზადების ორგანიზება მათთვის საბაზისო უნარების ჩამოყალიბების მიზნით;

ნ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოხდის დაგეგმვა და განხორციელება;

ო) მოქალაქის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის თაობაზე შესაბამისი ცნობის გაგზავნა მისი გამწვევი ორგანოსა და არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ადგილის ადმინისტრაციისათვის;

პ) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 9

განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა;

ბ) ქვეყნის მასშტაბით განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული სამაშველო რეაგირება;

გ) დისლოკაციის ადგილზე სამაშველო ოცეულების 24-საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის რეჟიმის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის;

დ) კომპლექსურ და სპეციალურ ვარჯიშებში მონაწილეობა;

ე) სამაშველო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის ნომენკლატურის შემუშავება, გამოცდა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ვ) სამაშველო-საძიებო ოპერაციების ჩასატარებლად ძაღლების გაწვრთნა და გამოყენება;

ზ) დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების კონტროლი და მათთვის მეთოდური დახმარების გაწევა;

თ) ბირთვული, რადიაციული, ბიოლოგიური და ქიმიური საფრთხეების შემცველ ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით ვითარებათა შეფასება, შესაბამისი რეაგირების ძალების კოორდინირება;
ი) სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მარშრუტების შეთანხმებასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზება;
კ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებული დასკვნის მომზადება;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევაში მონაწილეობა სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან თანამშრომლობით;
მ) წყალზე სამაშველო სამუშაოების ჩატარება;
ნ) მაღალმთიან რეგიონებში სამძებრო-სამაშველო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება;
ო) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 10

1.დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების ფუნქციებია:
ა) ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებაში ჩართული სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალების კოორდინაცია;
ბ) ხანძრის პროფილაქტიკა, ხანძრის ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოების ჩატარება, აგრეთვე ხანძრის დროს ადამიანების და ქონების გადარჩენა და დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა;
გ) ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმისათვის გეგმების შემუშავება და მათი განხორციელება;
დ) მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში ლიკვიდაციის, ასევე აღდგენით ღონისძიებათა ორგანიზება;
ე) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევაში მონაწილეობა სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან თანამშრომლობით;
ვ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის მომზადების ორგანიზება;
ზ) საგანგებო სიტუაციების, ხანძრების და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოების შედეგების ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების მიზნით, მონაცემების სამსახურის შესაბამისი დანაყოფებისადმი მიწოდება;
თ) ხანძრების ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო/სამაშველო სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
ი) ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის ინფორმირება და მომზადების ორგანიზება;
კ) მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებული მოხალისეების ტერიტორიული პრინციპით ორგანიზების ხელშეწყობა სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებაში ჩართული მოხალისეების მართვა;
ლ) არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზებაში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში;
მ) დეპარტამენტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, თავშესაფრების და თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობების აღირცხვა;

ნ) ტერიტორიულ დანაყოფში შესული და გასული კორესპონდენციის დამუშავება, რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და ხელმძღვანელობისათვის დროული მიწოდება, საიდუმლო კორესპონდენციის მიღების, რიგისტრაციის, მოძრაობის, გაგზავნის უზრუნველყოფა;
ო) საქართველოს კანონმდებლობით, ასევე სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.
2. დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფები ამ მუხლით მათზე დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებენ ტერიტორიული პრინციპის დაცვით ან/და დეპარტამენტის უფროსის დავალებით, ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის სირთულის, მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

თავი IV
დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მათი უფლებამოსილება

მუხლი 11
1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დეპარტამენტზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე.
3. დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:
ა) ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
ბ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, წყვეტს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვნად შესრულებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის მოსამსახურეებს შორის, ზედამხედველობს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;
დ) დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციას ანაწილებს დეპარტამენტის მოსამსახურეებზე;
ე) კონტროლს უწევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მითითებების/ინსტრუქციების შესრულებას დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
ვ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტში სტაჟირების გავლას;
ზ) სამსახურის უფროსს და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მოსამსახურეთა წახალისების თაობაზე;
თ) მიმართავს სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;
ი) აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და სამსახურის უფროსსა და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის, წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის შესახებ;
კ) სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარუდგენს წინადადებებს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის ამოცანების შესასრულებლად;
ლ) შუამდგომლობს დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;
მ) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტაციას;

ნ) ყოველწლიურად ან მოთხოვნისამებრ, სამსახურის უფროსსა და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს ანგარიშს სამმართველოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
ო) პერიოდულად ისმენს ანგარიშს დეპარტამენტში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული დანაყოფების უფროსებისა და მოსამსახურეების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე სამსახურის უფროსისა და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 12
1. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.
3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;
ბ) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის დავალებებს და განიხილავს დეპარტამენტში შესულ კორესპონდენციას;
გ) ანაწილებს დავალებებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებსა და მოსამსახურეებს შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;
დ) კონტროლს უწევს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;
ე) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან ხელმოწერას;
ვ) პერიოდულად აანალიზებს დეპარტამენტის საქმიანობას და დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;
ზ) ასრულებს სამსახურის უფროსის, კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;
თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნისას ან მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთ მოადგილე.

მუხლი 13
1. დეპარტამენტის სტრუქტურაში შემავალ მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის უფროსი.
2. მთავარი სამმართველოს უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მთავარ სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და კურატორი სამსახურის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის უფროსის და დეპარტამენტის უფროსის მოადგილეების წინაშე.
3. მთავარი სამმართველოს უფროსი მთავარ სამმართველოზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:
ა) ხელმძღვანელობს შესაბამისი მთავარი სამმართველოს საქმიანობას;

ბ) ანაწილებს შესაბამის მთავარ სამმართველოს მიკუთვნებულ კორესპონდენციას მოსამსახურეებს შორის;
გ) უზრუნველყოფს მთავარი სამმართველოს მუშაობის ორგანიზებას და ზედამხედველობს მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას;
დ) ახორციელებს მთავარ სამმართველოში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;
ე) კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს სამსახურისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებების შესრულებას;
ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.